კვირა, 26 აპრილი. ფასი ყველგან 10 კ.

მათრახი და ალამური

№ 2 1909. იუმორისტული ალმანახი
კარიკატურებით

ადრესი: Тифлисъ, Типогр. «Шрома» Теофилу Болквадзе

აბდული. ვაიმე თავო უბედურო
რა დღე გადგება!..
დღეს თუ ხვალ ჯარი
ლასახლესაც შემოადგება.

ხოჯა. ნეტა ვიცოდე კომიტეტის
დაწყევლილ ჯარებს
რა ავი სული შესჯდომია
და მოაჩქარებს.

ფიქრი.

მიჭერიან დღენი სიცოცხლის,
თითქოს ჩვს სცვივა ფოთოლნი,
წინ გზაა ფართო, ულვეი,
უკან—სოფლაენი, თბილნი!
ამ გზად სვლა გამოცანაა,
სოფრთხილო, სახიფათოა;
შესწყვეტ სვლას—მორჩი ხიფათებს:
შენთვის სოფლაენიც ფერთოა!
ეის მიგებარების მშობელი,
გულში ჩაგიკრავს ცივთა,
გაკვთბობს, ადმოგცენებს
კვლავ ქეენათ ბალახ-თავთა,
კვლავ დაგბრუნებს სიცოცხლეს,
მწვანედ მოირთავს ნაჩირებს
და მარკვლიტებს დაგაფრქვევს,
ცით უხვად ჩამოსტირებს...
ცა სტირის ახერს შენს ხვედრზე:
რა იკვე?—რად ხარ ქცეული?
და რას გამზადებს კვლავ ბედი,
შემოჩენილი, წეული?
აი სიცოცხლის ტრიალი!
შენ მასში რა ხარ?—წერტილი!
ამ თუ იმ კვარ ალაბში
ჩამოსხმულ-ჩამოწრეტილი?

ნ. ზომლეთელი.

უფასო ბილეთი.

(იხილე „მათრახ-სალამური“ № 1)

მატარებელი ხვნეშით მიუახლოვდა სადგურს და გაჩერდა.

— მე ეხლავე დავბრუნდები—უთხრა ბესომ ნორას და გავიდა ვაგონიდან სადგურის ბაქანზე. აქ მას წინ შეეფეთა ნაცნობი, რკინის გზის მოსამსახურე, სიხარულით მივარდა და ხელი ჩამოართვა, მისი გაწკეპილი ულვაშები, წითელი სახე და კატასავით ჭრელი თვალები არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე. მის კმაყოფილ სახეზე აშკარათ შეატყობდით, რომ უდარდელი ცხოვრება უყვარდა და ამ ცხოვრებისთვის არავითარ საშუალების წინ არ დაიხევდა.

— ჩემო ბესო! ჩემო ბესო! საიდან სადაო წმინდაო საბაო?!—მხიარულათ შესძახა მან ბესოს და გრძნობით ხელი ჩამოართვა—რომელმა ქარმა გადმოგიტაცა აქეთ?

— გამარჯობა იორამს! როგორ ხარ, რასა იქ? მიესალმა ბესო.

— არა, შენ ეს მითხარი რომელმა ქარმა გადმოგიტაცა აქეთ. მოგადგა სიცხე?

— ისეთი ცხელა ქალაქში, რომ ქუჩაში რომ მჭადი დააკრა გამოცხვება. ვეღარ გავძელი და წამოვედი ორი დღით, იქნებ მოხარშული გულღვიძლი გავიგრილო.

— უთუოთ ბაგრიანში მიდიხარ?

— სწორეთ იქ მივდივარ.

ორივენი სადგურის ბუფეტისკენ წავიდენ.

— სხვა, როგორ სცხოვრობ იორამ, ხომ კარგათ ატარებ დროს?

— ძალიან კარგათ, ჩემო ბესო, დავდივარ ამ მატარებელში და ვქეიფობ. შენ იცოდე ამ ზაფხულ რამდენ მშვენიერ არსებათ ჩავეკარ გულში. რა ჯურის ქალები გინდა რომ არ ვიგემე, გიმნაზისტკა გინდა, მასწავლებელი ქალი, თუ ისე უბრალო ბარიშნა. ისე შევეჩვიე კომპლიმენტებს, რომ კაი ბიკობა უნდა ეხლა რომ ქალმა გაუძლოს ჩემ სიტყვებს. სანინის წაკითხვის შემდეგ სრულიად გავწყვიტე აღვირი და ჰერი ბიკო! არა, თუ ღმერთი გწამს მეტი რა შეგვრჩება ამ ქვეყნათ? ამას თავი დავანებოთ, მოდი ერთი გადავკრათ, დავსხდეთ იქ სტოლზე.

— არა, გმადლობ, მე მარტო არა ვარ, ვაგონში მიცდიან.

— მარტო არა ხარ? ვინ გახლავს?

— ერთი ქალი მახლავს.

— შენი და ხომ არ არის?

— არა, ამხანაგი ქალია.

— ფუუუ! ,,ამხანაგი''? აი ყოჩაღ ბიკო! ვიცი რაც შვილი ბრძანდები ბიძია, კაი ,,ამხანაგი'' კი იქნება აი. აი შე ცულლუტო შენა! კარგია არა აგარაკში გასეირნება ,,ამხანაგი'' ქალით, იქ ხეივნებში კოტრიალი! ხა, ხა, ხა! ყოჩაღ!

— ტყუილათ გგონია, ჩემო იორამ, არავითარი მაგისთანა აზრი მე არა მაქვს. გეუბნები ამხანაგი ქალია, უფასო ბილეთი მთხოვა, მივეცი და მოდის ჩემთან. აქ არაფერი გასაკვირი არ არის!

— დიახ, რასაკვირველია! ,,ამხანაგი'' ქალი, უფასო ბილეთი და მოდის შენთან! აბა რა გასაკვირია! დიახ!—ეშმაკურათ გადიხარხარა იორამმა.

უკვე მეორეჯერ ჩამოკრეს სადგურის ზარს.

— სადგურ ჭოპორტამდე მეც მოვდივარ. ერთათ ვიმგზავროთ, ვნახო ერთი შენი ,,ამხანაგი'' ქალი. კარგია? ლამაზია?

— რა უშავს, კარგია. განათლებული ქალია.

ბესომ იყიდა სხვადასხვა საჭმელები და იორამთან ერთათ შევიდენ მატარებელში. ნორა სკამზე წამოწოლილი იყო, როცა ისინი ვაგონში შევიდენ. ის საჩქაროთ წამოდგა, კაბა გაისწორა და დაჯდა. ბესომ გააცნო იორამი. იორამმა უცნაურათ ფეხი გაიქნია, თვალები ეშმაკურათ შეათამაშა, გაიღრიჭა და გაეცნო: „იორამ დინგაძე, მატარებლების რევიზორი''.

ნორაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა იორამის მსუნაგმა სახემ. მან უზომო ზიზღი იგრძნო როცა იორამმა პირველ შეხვედვაზედვე პირი გააცმაცუნა, თვალები აუთამაშდა და ბესოს მუჯლუგუნი წაკრა.

ბესომ გაშალა ხელსახოცი, დაიწყო ზედ საჭმელი და მიიწვია ნორა და იორამი. ყველანი შე-

ექცენ. იორამი თვალს არ აშორებდა ნორას, რაღაც ბოროტი ცეცხლი უელავდა თვალებში. ნორა გრძნობდა მის მსუნაგ თვალებს და გულზე რაღაც საშინლათ კბენდა.

— მიირთვით, ბატონო, მშვენიერი ნაჭერია— უთხრა იორამმა და ხორცის ნაჭერი მისთავაზა ნორას.

— გმადლობთ! ნუ სწუხდებით!—არ უნდოდა, ისე ჩამოართვა ხორცი, იორამმა ხორცის გადაცემის დროს მოასწრო, თითით თითზე შეეხო და გამოუთქმელი სიამოვნება აგრძნო.

— კარგია, ბატონო, რომ წამობრძანებულხართ საგარაკოთ, ქალაქში აუტანელი სიცხე იქნება ეხლა.

— ძალიან ცხელა.

— ამ მხრით სწორეთ, რომ ბედნიერი ვარ, საითაც მინდა იქით დავდივარ, ხან აღმა და ხან დაღმა. მთელი რკინის გზა ჩემ ხელშია.

— ნეტავი თქვენ, ბილეთები უფასო გაქვთ და რა გიჭირთ. ჩვენ უნდა ვიკითხოთ თორემ. უსაღსრობის გამო, წელიწადში ერთხელ ძლივს დავიძრებით მტვრიან ქალაქიდან.

— არც იმდენათ, ბატონო, თქვენ რომ ბგონიათ. აბა, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა საინტერესოა მარტოთ მარტო მგზავრობა, სულ სხვაა, როცა თქვენისთანა მშვენიერი არსება თან გვახლავს, ამისთანა მგზავრობას აღარაფერი შეედრება.

ამ სიტყვებზე ნორას რაღამაც საშინლათ უკბინა გულზე, მას არ ესიამოვნა იორამის ღრეჭა და ასეთი სიტყვები. ის ყურებიანა გაწითლდა.

— უკაცრავათ, მაგ გვარ კომპლიმენტებს ჩვეული არ გახლავართ.

— რატომ იკადრებთ, ბატონო, რის კომპლიმენტი, შერცხვენილი კაცი ვიყო თუ გეფერებოდეთ, თქვენისთანა მშვენიერ არსებას ძვირათ შევხვედრივარ. სიმართლე უნდა მოგახსენოთ დიდი მოტრფიალე ვარ ბანოვანთა, ბევრს ვიცნობ, მაგრამ თქვენისთანა ჯერ არსად მინახავს. როგორ ვსთქვა მე ცოდვილმა, მარა ბესოს ბედი მშურს, სწორეთ ძაღლის ბედი აქვს.

— თქვენი ლაპარაკი სწორეთ მაკვირვებს, ბატონო, ვერ გამიგია ვისთვის ან რისთვის არის საჭირო ასეთი ლათაიები?

— მერწმუნეთ, რომ ჩემს სიტყვებში ზედ მეტი არაფერია. ყველაფერი ეს პირდაპირ ჩემის შეხედულობიდან გამომდინარეობს. აბა თქვენ თვითონ დაფიქრდით, განა შეეძლება რამე იმას, როცა გვერდით მშვენიერი არსება გიზით, უცქერით მის ლამაზ პირის სახეს, უცქერით როგორ ნელნელ ადის მისი მაღალი გულმკერდი, სწორეთ რომ საუცხოვოა. გამოუთქმელ სიამოვნებას გრძნობ ამ დროს ადამიანი.

— სწორე უნდა მოგახსენოთ, ეგ ნამდვილი მხეცური შეხედულობაა. აქ პირველი ადგილი ენებათა ღელვის ინსტიქტებს უჭირავს. აქ ადამიანურ გრძნობებს ადგილი არა აქვს. ეგ ვერაფერი მოსაწონია, თუ თქვენ საზოგადოთ ყველა ქალებს ამგვარი თვალით უყურებთ.

— წარმოიდგინეთ, რომ მე სხვა თვალი არა მაქვს, მხოლოდ ამ თვალით ვუყურებ ქალებს, მათში ვხედავ მხოლოდ მშვენიერ არსებათ.

— ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი აზრის ყოფილხართ და უნდა მოგახსენოთ, ვნანობ რომ გაგიცანით.

— გარწმუნებთ, რომ ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, საზოგადოთ ყველა ასეთი შეხედულობის არის, აი თუ გინდ ბესო.

— ბესო! თქვენც ასეთი აზრის ხართ?—შეეკითხა ნორა და გულის ფანცქალით ელოდა პასუხს.

— მე... არა... მაგრამ ლამაზი ქალი... ყველას მოეწონება ..—ყოყმანით წარმოსთქვა ბესომ და გაჩუმდა.

ბესოს ასეთმა ორჭოფულმა პასუხმა ნორას გულზე უჩხვლიტა. ამ წუთში მას საშინლათ შეეზიზღა ეს ორი მსუნაგი ადამიანი. ის სიბრაზისაგან გაწითლდა და ზიზღით წამოიძახა:

— დიახ, ყველა მამაკაცები ერთი ჯურისანი ხართ, ყველა თქვენგანი ქალში ხედავს მხოლოდ თავის მხეცურ ეინის დასაკმაყოფილებელ საგანს. თქვენ არ გინდათ მასში დაინახოთ ადამიანი, არ გინდათ გაიგოთ მისი სულიერი სილამაზე. პირველ შეხვედრაზედვე თქვენ მას მუშტრის თვალით უცქერით, სინჯავთ თუ რამდენათ ლამაზია.

— არა, ერთი ეს მითხარით, თუ ღმერთი გწამთ—მიმართა ღრეჭით იორამმა—თქვენ არ მოგეწონებათ, როცა ლამაზ კაცს შეხვდებით?

— მომეწონება მხოლოდ მაშინ, თუ მის გარეგნულ სილამაზეს თან ახლავს სულიერი სილამაზე, თუ ის ნამდვილი ადამიანია, ხოლო თუ ის ზნეობით გარყვნილია, თუ ის სულიერათ დაცემულია მისი გარეგნული სილამაზე, დარწმუნდით, რომ ვერავის მოსიბლავს.

— ან შემცთარი ბრძანდებით და ან არ გინდათ გამოტყდეთ. ქალების ფსიხოლოგია ისე მაქვს შესწავლილი, როგორც ჩემი ხუთი თითი. მგონია იმდენი თმა არა მაქვს თავზე, რამდენ ქალებს მე ვიცნობ.

— შეიძლება თქვენ ბევრ ქალებს იცნობდეთ, მაგრამ არ შეგიძლიათ თქვენი ნაცნობების საშუალებით თქვენი შეხედულობა ყველა ქალებს მოახვიოთ თავზე. შეიძლება თქვენ ერთი ჯურის ქალებს იცნობდეთ, მაგრამ ამავე დროს თუ დაგავიწყდებათ, რომ ყველანი ისეთები არ არიან.

— საკვირველია, რომ ზოგიერთი ქალები ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ძველი შეხედულობიდან. გაიგეთ, ბატონო, რომ ძველი ცხოვრების კედლები შეინგრა, ახალი ცხოვრება სულ სხვას თხოულობს, მოიგონეთ თავისუფლება, ემანსიპაცია, მოიგონეთ, რომ რუსეთის ქალებმაც აღიმაღლეს ხმა თავისუფლებისათვის. ასეთი შეხედულება დღეს უნიადაგოა.

— საკვირველია, ღმერთმანი, განა თავისუფლება, ემანსიპაცია და სხვა იმაში გამოიხატება, რომ ქალი პირველ შეხვედრილ მამაკაცს ჩაუვარდეს ხელში, ხვალ მეორეს და ზეგ მესამეს? განა ეს არის თქვენი თავისუფლება?

— არა, მე ვამბობ, რომ მაგალითათ მოგეწონათ მამაკაცი, თქვენ ვერაფერმა ვერ უნდა დაგიშალოთ თქვენი სურვილის სისრულეში მოყვანა. თქვენ სრულიად თავისუფალი უნდა იყოთ ყოველგვარ აპეკისაგან. შეიძლება დღეს ერთი მოგეწონოთ, ხვალ მეორე. აქ გასაკვირი არაფერია.

— სიყვარული? მაშ, სიყვარული არაფერია?

— ეგ სისულელეა, სხვა არაფერი.

— სწორე მოგახსენოთ, უმჯობესი იქნება თავი დავანებოთ ამგვარ ლაპარაკს. რაც უნდა მიმტკიცოთ მე ჩემი საკუთარი შეხედულობა მაქვს და იმის შერყევა შეუძლებელია.

ირეთელი.

(შემდეგი იქნება)

სამ-გვარი ძალა.

I

ფულს ძალა აქვსო,—გაიძახიან.
ფულს თაყვანსა სცემს ერი და ბერი,
მაგრამ, თუ მკითხავთ, ვინც ფული შექმნა,
ის უნდა იყოს ფულზე ძლიერი.

შექმნილზე უფრო შემქმნელს აქვს ძალა...
და ეს ძალა ხომ თვით მუშა არი...
ის ბნელ მიწის ქვეშ მადანს სთხრის, ოფლს ღვრის,
სპეტავს წერაქვი, ბანს აძლევს ბარი.

ამ მოთხრილ მადანს მუშა მიიტანს
იქ, სადაც ძალზე ლაპლაპებს ქურა.
(ამა მადნისა გადასადნობათ
მუშისვე ხელმა ის გაახურა!!).

აქ გამდნარ მადანს ყალიბში ასხამს
და ფულათ აქცევს მუშისვე ხელი,
მუშავე ზიდავს ამ ფულს ურგითა;
მუშისავე ძმა თან მისდევს მცველი...

აქ, ამ მუშის ძმა თოფ-ხიშტით ხელში
მისთვის მომცდარა რამდენსამე წელს,
რომ ის თავისს ღვიძლ ძმას თვალს ატანდეს,—
თავის ნაშრომ ფულს არ ახლებდეს ხელს.

და ესე ფული, მუშის ნაშრომი,
მზათ შიერთმევათ იმ მუქთა-ხორებს,
რომლების ხელიც მთელ სიცოცხლეში
მცირე კენჭსაც არ გადაგორებს. .

მუშას-კი მცირე წვლილს გადუყრიან,
რასაც ხელფასი ვითომ ერქმევა...
მაგრამ ეს ფულიც მუშას უკანვე
გადასახადში გამოერთმევა!!.

II

მეორე ძალა არის ის ძალა,
თოფ იარაღი რომელსაც ჰქვიან,
მაგრამ იქნება ბევრმა არც იცის,
რომ ამ ძალასაც მუშები ჰქმნიან!..

იგივ მადნის თხრა,—ქურასთან ზიდვა,
შრომის დროს მუშის ხვნეშა-კვნესის ხმა...
მდნარ მადანს ყალიბს მიუმარჯვებენ
და თოფ-ზარბაზნის ხდება ჩამოსხმა

მუშების ხელით .. რაღა თქმა უნდა,
მათ ეს ხელობა კარგათ იციან,
მაგრამ ამ თავის შექმნილ ძალის წინ
ისევ მუშები თრთიან და ძრწიან.

III

მესამე ძალა,—ეს ხომ პურია,
ძალა კეთილი და მადლიანი,
ძალა, რომლითაც საზრდოობს, სცოცხლობს
ძალ-ღონეს იკრებს ადამიანი.

და ამ ძალასაც—პურს, გლეხის ნაშრომს
ხელთ იგდებს ის, ვინც უქმათ ბრძანდება,
სულ ზზას მიირთმევს და შრომა რაა—
სიზმრათაც-კი არ მოელანდება.

„ოფლითა შენით მოიპოვეო
პური შენიო“,—ჩვენ გვარიგებენ,
მაგრამ თვითონ-კი ოფლის დაღვრას და
მით პურის შოვნას თავს არიდებენ.

ამ „ოფლით პურის მოპოვებაზე“
მქადაგებლის წინ რწმენა გვიქრება,
ოფლის დაღვრაზე თუ იყოს საქმე,
მაშ გლეხ-კაცს პური რათ ენატრება?!.

—

ნეტავ თუ არის სადმე ქვეყანა,—
კანონი მუშას მიშველებოდეს,
რომ უსამართლო ძლიერებისგან
მუშა ფეხ-ქვეშ არ ითელებოდეს?!.

რომ ფულის შემქმნელს „ფული“ არ აკლდეს,
რომ პურის მომყვანს არ მოშივნოდეს
და თავის შექმნილ თოფ-ზარბაზნის წინ
ისევ თვით მუშებს არ ეშინოდეს?!.

ფონ-ტეფო.

პატარა ფელეტონი

მეგობარს.

(ლეკსი პროზათ)

შენ ისევ სდუმხარ! ესდენ ძახდეს ჩემსას არ ისმენ! მე კი შენ გხედავ: შენ მოძრაობ, რადცას ელტვი; გიწვევ არ ისმენ და მიდიხარ... ნეტავი სათ? ეს კანის გზაა, შეგობარო, კანა არ იცი?! მიდიხარ.. ოვდი...ოვდი... ოვდი... და რას მიადწევ?!.. კვდეთ ფრიადო შენ თავლებ წინ ადამიანთება, უფსკრულთ ნაბრალნი ცივად, შავად კაკიცისებენ, აქ, ამთ ქიროში, ჭაობია, ტლოზო უძირო, აშმორებული ათასსაირ სახიზღრობებით! ბიჭი ერთი და... წიადი შენ კადაგიტაცებს!.. აქ კი...რა ბეჭდის? ოჰ, ოჰ... თქმაც კი საშიშრობა!..

შენ ბეჭდავ მიდიხარ... შეკეთფიქრეს დაბრკოლებებმა! სიკვდილის შიშის წინაშე ომა ეკლეზე დაგიდგა! გზა ხომ ნაზდვილი უმსხვერპლოთ არ ეაოვლებოდა!.. ნარი,

ქალი, ტექ, ჯაგნარი სიკეთე იყო; გარდი, იანი—ოფლის დვრიო მოსაოესაკი! ტაძარი წმინდა, წმინდასავე მსხვეულს მოითხოვდა!.. თავლნი მოაღლე ეველა ამს და შედრკი კანა! შეშფოთდი რადაც, დაიბენი, გეერდის გზას გაჰვეე!..ეხლა მიდიხარ... იგდი... იგდი... და აქვე მოხვალ, დაბრუნებული, მარადის გზის მძიებელი. მოხვალ-მოიტან თანაც მწარე გამოცდილებას და ეტეკი აქვე: „ოჰ, რა შეეცდი, რომ გადუხვიე! რამდენი შრომა რამთენი დრო ტეკეიდან დაკარგე!“.

—„არა“ მე გეტეკი ან სამარე ჩემი მოგძახებს, თუ, რა თქმა უნდა, ამ დროამდე მე უკვე დავწერ და ჩავენელე ჩვენს საერთო წმინდა ტაძარზე: „არა და არა... მოხდა-შეოქი გარდუვალი!“... ამ ნუგეშს მიანც არ მოგაკლებ სანანულის ჯამს, რადგან მიეკარხარ, შეგობარო, ყოთ შეგობარი!..

დღეს კი შენ გარბი...გარბი შენა, როგორც ჭარენი! დამაკლე მარტოთ და უდელი ჩამომიცალე: დამწკა მძიმედ, კი არ ვაგდებ, კი არ ეეშვები, მხოლოდ მწეინობს, რომ, შეგობარო, შენ მომატოვე!..

ნ. ზომლეთელი.

*
* *

როგორ ახლა, ასე ეთო მაშინაც:
იის ტრფობითი ეიმღებოდა ენძელა,
იცინოდა დედამაწა, მადლა ცაც
და ბუნება იღვიძებდა ნელ-ნელა.

ცის ტატნობი დაბლაბებდა ვერცხლისფრად,
სხივს იძრობდა მაცოცხლებელს მკვირცხლი მზე,
მდელო, მთები მიწნეულნი თითქმის მკვდრად,
ადგნის კვირკვინს იფეონიდენ ნაზ თაკზე...

თვით სიცოცხლე ჩქეფდა და ეკვდავკვებ
დროშას ფლიდა სამეურთ, ეარმეტკკად,
მეედებოდა თვით ეძლეკი დვთაებ
ტახტს იდგმდა ძირს მიწაზე მაღლა ცად...

მრავალ კზობითი დანატანკი სამარადე
თავს კვირკვინთ ეკლეთ ნაკრეხ-ნაწნავით,
ბორიტ ძალით დანახშობი სინთლე
მოცეურავდა მაშვრალთაკენ მუნ ნავით.

კრძნობის მეფეც დაკადობდა, დაკვნესდა,
დახარდა ამწვანებულ ლურჯ-მხარეს;
იქ სიხარულს და სიეკარულსა ოესდა,
აქ ეანკვდა ჭანკს სკვდიანს, მწეხარეს...

მაშინ კეულიც მიფეთქვდა ამედით,
სტრფობა კრძნობით მეღიმადა კანაწკალს,
დანამთვრალი სიხარულით და ბედით,
მას ვაპურობდი ცხარ ბრძოლის დროს ეშხით თავლს...

ვ. მალაქიაშვილი.

მედროვე.

(იხილე «მათრახ-სალამური» № 1.)

ბოქ.—(წამოვარდება ზეზე) მაშ ასე. მაშ ყველაფერი მართალი ყოფილა, რაც სიმონან გადმომცა? გზაში ჩამისაფრდენ კიდეკ?! რა ერთ წუთზე გადავრჩენილვარ?! ზეგ კიდევ ჩამოაფრთებიან არა? და ეს ყოველივე პეტრეს წყალობით არა?

ეფრემა—პეტრეს აბა! პეტრეს თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ კარგათ იმას რომ არ დაველუპეთ, აბა რა გვიჭირდა. ჩვენი საზოგადოებისთანა ხემწიფის ერთგული მთელ ღუბერნიაში არ იყო. ნაჩანიკები და გუბერნატორები მუდამ მადლობელი იყვენ ჩვენი. ამ ორი წლის უკან № სოფლელები რომ გადაირიენ და ყაზილარების გაპირებით აქ ჩამოკეინდენ ქალიან-კაკიანა დაჭირულების გასანთავისუფლებლათ, მაშინ ჩვენი სოფლელები ჯობებით დახვდენ და რომ რამე გიებედენ შენი მტერი არ გადარჩენილა ვერც ერთი ცოცხალი ვერ წევიდოდა. უნდოდენ ჩვენც ავეყოლიებიეთ და ჩვენთვისაც ნდობა დაეკარგათ მთავრობის თვალში და მათსავით ბუნტოვშიკათ გამეკეყვანეთ. მარა წევიდენ შერცხვენილი. ეოთი ვერ იშოვეს ამყოლი. დღეს კი ისე გაგვიწყრა ღმერთი და დაგვატყდა მისი რისხვა, რომ ასეთ უბედურებაში ჩავდექით. ამას წინათ გუბერნატორი გამეიარა და აქ აღარ ჩამოხტა, ისე გამწყალარია თურმე ჩვენზე და ამას შემდეგ ღირს ჩვენი სიცოცხლე რამეთ? ღმერთო დაგელოცა დიდება. ყოლიფერს მოესწრება თურმე კაცი ამ ცოდვილ დედა მიწაზე. არ მოვსწრებოდი ამ გეგენიას და ჩემი თვალით არ მენახა ჩვენი წახდენა კაი იყო და რაღაი ეხლა. და ყველა აი გვიქნა პეტრაამ. ჩვენი დაღუპვიზა ღმერთი დაღუპავს მას. არა ერთი კია მაინც. რა გაჭირდა ვაჯო, ამ კაცის მოშორება. რავა ასე უნდა დაექცევიონ ერთ კაცს მთელი სოფელი?! დაგელოცა ღმერთო სახელი. რას მოვესწარით ამას. დამიცევი წმინდაო გიორგი.

ბოქ.—კარგი და კარგი. (დადის ბრაზ მორეული და ჩაფიქრებული) პეტრე, პეტრე, ოჰ! განა ასეთი პლანებით დადიოდი ჩემთან? განა ჩემს მოკვლას შენ აწყობ? კარგი. ენახოთ! მაშ ზეგ უნდა მომკლან არა? ძალიან დამავალე რომ წინდაწინ გამაგებინე, თორემ ზეგ მართლა ვაპირებდი ქვევით წასვლას. ძალიან კარგი! მე გაჩვენებ მაგათ სეირს. ისე ვაწამო, რომ სიკვდილს ნატრობდენ და არსათ იყოს. მე ვაჩვენებ მაგათ თუ რა ძვირათ დაუჯდებათ ჩემი მოკვლა. ხვალვე ყველას გავკოჭავ, ცხვირში ძმარს ვადენ და გაბაწრულს ნაჩალნიკთან გავაგზავნი. აბა მიყურონ.

ეფრემა—აბა მე ქე გიახლები ახლა, ბატონო, და თუ შენც შენს მოადგილესავით არ გაამხელ და ჩემი ცოლშვილის ცოდვაში არ ჩადგები ხომ კაი და თუ გამხელ რა უნდა ვქნა. მომკლავენ და ის იქნება. ამისანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს მაინც. ნეტარ ამდენანს მოვმკდარიყავ და ამას არ მოვსწრებოდი.

ბოქ.—რავა აღარ მენდობი. შენ სიკვდილი. საგან მიხსენი და მე გაგცემ?! რას ამბობ ეფრემ შენ ფიქრი ნუ გაქვს. მაგენი არც ერთი არ იქნება ხვალ დაუჭერავი. შენ ეცადე იქნებ ი თავი კომიტეტს რომ უძახით ის ჩამაგდებიო ხელში და მაშინ მე ვიცი შენი დასაჩუქრება. როგორც კი გაიგოთ რამე, მაშინვე მოდი. რაც დრო უნდა იყოს სულ ერთია. შენთვის ჩემი კარები მუდამ ღიაა. შენი სამსახური ჩემს თავს იყოს. მარტო ჩემს გადახდას არ დაგაჯერებ.

ეფრ.—იმედი მაქვს ბატონო თქვენი. თქვენ მალე დარწმუნდებით რომ მე თქვენთვის არ ვიქნები გამოუსადეგარი კაცი. ჩემი სიძე თუ კარგათ მეყოლა ამისთანები ჩემი საქმე იყოს. (დგება). ერთი რამ მინდოდა მეთხოვა ბატონო!

ბოქ.—აბა!

ეფრ—ერთი მეზობელი მყავს ბატონო და ჩემი მოხუცებულობა გაამწარა მან. იგი დიდი ხანია რომ იგენს ეფხრობა. ღარიბი ვარ და იგენი მიწებს მპირდებაო. რავა, აი დედა გაგლეჯილები ვის მიწას პირდება. ორმოცი ღრამოტა და კუმჩოდელნიტი მაქვს და ახლა აგენი ანაწილებს ჩემს მიწებს. მოდი და ნუ გადირევი კაცი. „მაარის“ კრება სულ მისაც აარის—მისი წყალობით შარშან თელ წელიწადს ბოიკოტი მქონდა. რაც მე მაშინ გამოვცადე, ღმერთმა თათარს და ურიას ნუ გამოაცდიოს. აღარავინ არც მელაპარაკებოდა, არც გამარჯობას მეუბნებოდა. გამარჯობა ივანეს, გამარჯობა სეფე, აა შენც არ მომიკვდე. ვინ გცემს ხმას. გეიარს ყაზახი და წავა. ჩავალ ქალაქში და დამესევა ბაღნები და მიყვარიან ბოიკოტიანო, ბოიკოტიანო. გავშრი კაცი. იმ ერთ წელიწადს ასე 5 წლის სიცოცხლე კი მომაკლდა. და აგი მიქნა ამ ცხვირ-მუუნოკელ ყაზილარმა. მიველი აგი ბერიკაცი, დოუჩოქე, შევეხვეწე: მომხსენი ეს რაცხა წყეული ბოიკოტია, გავსწორდი მეთქი. რას ვიზამდი რომ არ მეთქვა. რა არ ვეხვეწე მარა აპა, პა. ქვა ააგდო თავი შეუშვირა. მე რა შემიძლიაო. ეს „მაირმა“ ქნაო. არაფერი არ გამივიდა. ასე გამაწვალა ხემწიფის ერთგულობიზა იგი ბერი კაცი. ახლა კიდევ დამასმინა იგენს რომ მახაორობლათ ჩაჩუტობს და „მაირს“ მისთვის მოუნვდია თვალ-ყური ადევნე მახაორბელს, სად დაიარებაო. და ისე მიდარაჯებს ეხლა რომ სადმე წასვლა რომ დამჭირდება უკანა კარიდან უნდა გევიპარო. რავა, თქვენთან ორმოცი გზობა მოვიდოდი ამდენხანს, მარა რათ გინდა. იი შეჩვენებულის თვალს ვეფერი ვერ დაემალება და თუ გამიგეს ხომ მომკლეს აი ბერიკაცი. მე შენ გეტყვი და დიდი მეპირია. ერთი ჯიღი და გათავდა. შენი მტერი აღარ ყოფილა მეტი. ახლა თქვენთან მოსვლაზე მე რომ გადამიწყდა რომ იცოდეთ გაგიკვირდება. ჯერ ვინ იცის კიდევ იქნება იქითობას მნახოს. ახლა დადარაჯებული იქნება სადმე. თუ რამეს მოუხერხებ კაი და თუ არა რავქნა. გადამაჯდა ყაზილარი კისერზე ისაა.

ბოქ.—შენ ფიქრი ნუ გაქვს. იმას ამდამვე მოვაყვანინებ გაბაწრულს აქ სტრაჟნიკებს, რა გვარია?

ეფრ.—იგი გოგიე გამართულაძე. დათიკა გამართულაძის შვილი. აბა ახლა მე ქე წავალ ბატონო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ ბატონო. (თავს დაბდა დაუკრავს). აქეთ ხომ არაა გასავალი ბატონო? უკეთესია; უფრო ფარულათ გადავალ. ვინ იცის ფათარაკი ელანძეა. (ჩაფდაბრაკების) გოგიე ახლა აქანაი იქნება საცხა ჩაკუნცხული.

ბოქ.—(მხარზე ხელს დაადებს და უკანა კართან მიიუყვანს). შენ გოგიეს დარდი ნუ გაქ. ის ვითომ აღარც ქე ყოფილა. აბა ასე. ეცადე. ნახვამდის. (მახარობელი გადის). (ბოქაული ადექვებული კაიდლკამოთვლის და იძახის)—მათრახაძე! (შემოდის მათრახაძე) დამიძახე კულაჩენკოს. ამ წუთში მოვიდეს.

მათრ.—ეხლავე! (გადის).

ბოქ.—(მარტო) მაცალონ მაგათმა. მე ვაჩვენებ მაგათ როგორ მომკლავენ. ისეთ საქმეს დავმართებ რომ ნეტავ არ დავბადებულიყავიო, ვათქმევინებ. მაგი წუწკები მაგენი. (შემოდის კულაჩენკო). Кулаченко! Возьмешь старшину Кртамадзе, поидешь сейчасъ и даставишь сюда Гогія Гамартуладзе. Слышишь!

კულაჩენკო—Такъ точно Ва—родіе.

ბოქ—Смотри чтобы не убѣжалъ. Хорошенько скрути его мерзавца.

კულაჩ.—Сушаюсь Ваш—родіе (გადის).

ბოქ.—(დადის ჩქარი ნაბიჯით და რადაცას ბუტბუტებს. ფანჯარაში თავს მოჭერავს სინათლეს. ეძახის) მათრახაძე! (შემოდის მათრახაძე). ეს რა სინათლეა იქ? საიდან გაჩნდა?

მათრ.—ეს ბატონო ღღეს ქალაქის დეპუტატებმა ფანარი გააკეთეს თქვენი ბრძანების თანახმათ და იმის სინათლეა.

ბოქ.—ფანარი! რა მაინცა და მაინც ღღეს გააკეთეს. წელიწადი თორმეტი თვე არ გაუკეთებიათ. ორმოცი განკარგულება მომახდენია და არ აუსრულებიათ და ეხლა კი აკეთებენ. ვიცი მე თქვენი განზრახვა. თქვენც იმათთანა ბუნტოჩიკები ხართ, თქვე არამზადებო თქვენა. თქვენ გინდათ რომ მე მომატყუოთ. ეს ფანარი იმიტომ გააკეთეთ ეხლა რომ სინათლეზე კარგათ ამომიღოთ ნიშანში არა?! მე გაჩვენებთ თქვენ თუ როგორი ტკბილია ჩემს ღალატში გარევა. ისე დაგარბევთ, რომ თქვენს დუქნებში საქონელი კი არა სახოვი ქაღალდიც კი არ იშოვებოდეს. აბა დამაცათ. (შეუბრუნდება მათრახაძეს). წადი ამ წუთში და დაამსხვრიე ის ფანარი. აგრეთვე თუ მეორეა კიდევ სადმე ახლო-მახლო ისიც დაამტვრიე. სვეტები ამოიღე და შორს გადაყარე. დილით ადრე აქ მომიყვანე დეპუტატები. ხო გესმის?

მათრ.—ამ წუთში ბატონო! (გადის).

ბოქ.—(თავისთვის). მაშ მე უნდა მომკლან. სიცოცხლეს უნდა გამოვეთხოვო?! სანამ უადგილოთ ვიყავი, სიკვდილი მენატრებოდა და არსად ჩანდა.

ეხლა როცა ადგილი ვიშოვე, პირველი კაცი შევიქენი, როცა ჩემი შიშით არე-მარე ძრწის და ზანზარებს, როცა არც ფული მაკლია და არც საქონელი, როცა ჯერ კიდევ ვინ იცის რა დაწინაურება-წარჩინებას არ მოველი, როცა ბედნიერებაში შევედი—მაშინ კი ვიღაც ცხვირ მოუხოცელი ყაზილარების გადაწყვეტილებით უნდა მოვკდე. კიდევ კარგი რომ გუშინ წინ რომ გადავრჩი, თორემ ეხლა საიქიოს ვიქნებოდი თურმე. ან და დღეს რომ კიდევ ეფრემა არ მემოსულიყო, ზეგ კიდევ ჩამისფრდებოდენ თურმე. კარგი რომ გავიგე მაინც. Ах вы мерзавцы этакіе. Я вам покожу. Посмотрим как легко меня убить. (უძახის მწერალს). Крючковъ. Поди сюда. (შემოდის მწერალი). Пиши сію минуту рапорт начальнику о высилкѣ сотню казаков и пошлешь съ нарочным. Слышишь! Чтобы сейчасъ-же поѣхалъ человѣк. Слышишь?

კრაუკოვი —Сію минуту будет готово. (გადის). (შემოდის მთორახაძე).

მთორ.—ბატონო, ფარნები სულ დავამტვრიე. კულაჩენკო მოვიდა და ვიღაც ყაზახი მოიყვანა.

ბოქ.—(კბრაზებით). შემოიყვანოს აქ. (მთორ. გადის. ბოქ. დადის შეტათ აღელვებული ჩქარი ნაბიჯით. შემოუვლი კოგიას კამრთულაქე. ჰქით-იქეთ დარეკვები თოფებით უდგია). შენა ხარ გამართულაძე?

კამრ.—(მოკრძალებით) მე გახლავარ ბატონო!

ბოქ.—(შეკვრებით) შენ ვინ მოგცა ნება ბოიკოტები აცხადეო და ჰატიოსანი კაცები აშინეო. აქ მე ვარ უფროსი თუ შენ?! როგორა ბედავ შენ კანონის წინააღმდეგობას, შე არამზადა შენა.

კამრ.—ბატონო, მე ვინ მკითხავს ბოიკოტის გამოცხადებას. ან რა კანონის წინააღმდეგობა შემიძლია მე მეთოხია ყაზახს. დღიან ღამიანა ყანაში ვაგდივარ. სხვისი დაშინება კი არა ბაღნები ვერ დამიშინებია სახლში. ეს ნამდვილათ მტერებმა დაგასმინეს ჩემი თავი და თუ არ დავ. . (ბოქაული კბრაზებით შეაწყვეტინებს).

ბოქ.—მტერებმა. მეორეხელ არ გაბედო მაგის თქმა. მტერებიო? გიცნობ თქვენ რა შვილი ბრძანდებით. ყანაში დავდივარ? ვმუშაობ. დიახ. ძალიან მუშაობა კია ბუნტოჩიკების დევნა და მათი ბძანების ასრულება.

კამრ.—(ჩაურეკვ) ვინ ბუნტოჩიკები ბატონო. ჩემთან რა უნდა ბატონო ბუნტოჩიკებს... ჩემ მტერებს ნუ დაუჯ...

ბოქ.—(შეუკვრებს). Молчать скотина! მატყუებს კიდევ. მე ყველაფერი ვიცი. აბა მოგეხმა. რონ ეხლა შენმა ბუნტოჩიკებმა. ისეთ დღეს დაგაყენენ, რომ დაბადებას იწყევლიდე. ისეთ ადგილას გიკრამ თავს, რომ მზის ამოსვლა გენატრებოდეს.

კამრ.—თუ კი ასე დაუჯერებ, ბატონო, ჩემს მტერებს და მე არაფერს დაძიჯერებ, ბატონო, რა უნდა ვქნა? ღმერთმა იცოდეს არაფერ შეაში ვიყო თქვენი ნებაა ბატონო რასაც მიზამ, ძალიც თქვენ ხელშია და ნებაც. თუ კი უდანაშაულო კაცი დეისჯება უბრალოთ და ვითომ რაღაი. აღარ ყოფილა სამართალი ქვეყანაზე და ისაა.

ბოქ.—(კბრაზებული მადის მასთან). კიდევ ბედავს სამართალზე ლაპარაკს?! ის კი სამართალი იყო, რომ მახარობლას რომ მთელი წელიწადი ბოიკოტი დადე?

კამრ.—მე სიდაური მებეოკოტე ვარ ბატონო. მე ვინ მკითხავს ბატონო?!

ბოქ.—მაშ ვინ დაადო?

კამრ.—აბა მე რა ვიცი ბატონო.

ბოქ.—მაშ არც ის გინდა მითხრა ვინ დაადო, არა! შენმა ღვთის წყალობამ შენ არ იცოდე. (მოიმენებადს კამთხული) მაშ არ გინდა თქვა? მე მატყუებ არა?

კამრ.—ბატონო, ჩემა ღმერთმა იცოდეს, რომ არაფერი არ ვიცოდე.

ბოქ.—მე შენ მოგცემ შენსმერთს. (შემოკრავს სიდას. კოგიე ხელს აწევს შესაფარად, სტრაფები დაუწერენ. ბოქაული კოგიას დარტემას უბრძანებს) бить его сволочу. (დარაკები დაუწყებენ ცემას. კოგიას ხან ჰქეთ კადასწევ: თავს ხან იქეთ).

ბოქ.—Возмите его и заприте. Слѣдите хорошенько. Не давайте ничего кромѣ воды, пока не скажетъ все. (კოგიას ტოტხად-მკვდარი გაუყვთ. ბოქაული დიდხანს დადის. აღელვები'კან ტახტაზებს. შემდეგ უძახის მთორახაძეს. შემოდის მთორახაძე) შენ გესმის თუ არა. კარები კარგათ დაკეტე. ღმერთი არ გაგიწყრეს არ დაიძინო. კარგათ ადევნე თვალყური. მალ-მალე შემოიარე ეზო. თუ ვინმე დაინახო საეჭვო, მაშინვე დაიჭირე. თუ ვერ დაიჭირო ესროლე. მახრობელა თუ მოვიდეს, ჩემთან შემოიყვანე. გესმის, ფრთხილათ იყავი. ორმოცი თვალი და ყური გამოიბი. წადი. (მთორახაძე გადის, ბოქაული შედის საწოდ ოთახში).

ბაცილა*)

(შემდეგი იქნება)

*) წინა ნომერში შეცდომით დაბეჭდა ფსეუდონიმები. ამ წერილს ეკუთვნოდა **ბაცილა**, ხოლო კვირიდან-კვირამდეს კი—**ბრ. შრ.** რედ.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ასალი დრამა

პ. ირემთელისა

ქრისტინე

(სიუჟეტი აღებულია ე. ნანოშვილის მოთხრობიდან).

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома Т. Е. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.

სულთანის მოთქმა.

ახალგაზდა ოსმალებო,
თქვენ გენაცვალეთო,
ეგრე უცებ ტახტი როგორ
გამომაცალეთო.
სად მისტუმრებთ სტამბოლიდან
ეგრე ფარულათო,
რათ მეპყრობით ,,კეთილ მამას''
,,შვილები'' მტრულათო;
მთელი ჩემი სამსახური
თქვენ შეგალიეთ,
ახლა ჩემთვის დაგინიშნავთ
ბნელი გალიეთ.
შეხეთ, ჩემი დედოფლები
როგორ სტირიანო,
მარქვით ჩემი გაძევება
რაზე გჭირიანო.
კარგი, ჩემო გვრიტუნებო,
ნუ იცრემლებითო
სალონიკის სასახლეშიც
კარგათ იქნებითო.

დიპლომატიური რიხი.

(სტირიაკონი)

რუსეთის დიპლომატიამ შრისხანეთ დაკარაჭუნა კბილები და შედიდურათ ყარმოსთქვა:

— მაშ კარგი, თქვენი რჯული არ იეოს! თქვენ ხომ გაგატურეთ ეინულზე ბოსნია-გირცოგოვინის საქმეში, ხომ თქვენს ნებაზე გვახტუნაგეთ, ხომ თქვენი სურვილი ძალათ მოგვახვიეთ თავზე? ძალიან კარგი! ახლა რიგი ჩვენზე მოდგა, ახლა ჩვენ ვიცით საქმე როგორ უნდა.

და რუსეთის დიპლომატიამ მოითხოვა:

— ეოველ მიზეზს კარეშე ჩერნოგორიას უნდა ეეოლოს თავისი ჯარი და ფლოტი!!!

ბარონ ერენტალმა უპასუხა:

— ეს ხომ მაინც ეგრეა, თქვენ რადასედ სწუხდებით?..

— ეგრეა, მაგრამ ჩვენ მაინც მოვითხოვთ! .

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი!..

პირველი „გამარჯვების“ შემდეგ რუსეთის დიპლომატია უფრო კათამამდა და ბერლინისკენ შეორე მრისხანე ულტიმატუმი აფრინა:



ჯამბაზი ლეძტოკრი. (მოგონება).

— ქალბატონებო! ხეთქილი აზრის გენიალობას ჩვენ მწერალთა შორისაც აქვს ასპარეზი ინდივიდუალობისა. თქვენა გგონიათ ვაჟა-ფშაველა ნემეცთა გენიალ გეტეზე დაბლა დგას. ეს არ არის ამ რიგათ. მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ ვაჟა-ფშაველას გენიალობაც მაღლა დგას გეტეზე.

აი მიყურეთ.

ალეეე ჭოპ!..

აი ქალბატონებო, თქვენ ნათლათ ხედავთ, რომ ჩვენი მგოსნის ხეთქილი გენიალობა არაფერით დაუვარდება თვით გეტესას (ტაში).

— ჩვენ დაჟინებით მოგითხოვთ, რომ ინგლისი ზღვათა სახელმწიფოთ ითვლებოდეს.

ბერლინმა უპასუხა:

— თანახმა ვარო. ითვლება.

— აბაა! შეშინდით! ჩაიდაპარაკა მრისხანე დიპლომატიამ და უფრო სიშიშე ულტიმატუმი დაუგზავნა გერმანიის ბოლიტიკოსებს:

— ჩვენ მოგითხოვთ, რომ ევროპაში მდებარე კოლონიები გერმანიისა ხმელეთით არ მეუერთდეს ავსტრალიის კოლონიებს.

ადუთქვეს არ შეეკერთონ.

— მაშ არა და კაბედაგდენ შეერთებას! ესლა ჩვენ გვეეურვეთ, ულტიმატუმი წვენიც ნახეთ, სიამოვნებით ჩაიდაპარაკა რუსეთის დიპლომატიამ და ახალ-ახალი მოთხოვნები ეროი შეორეს მიაყარა.

— მოგითხოვთ, რომ მოვარის ჩრდილო-დასავლეთი ფერდობები ავსტრო-ვენგრიამ არ დაისაკუთროს; რომ სახელმწიფო ეხათ გერმანიაში ნემეტური იქნას ცნობილი; რომ იმპერატორმა ვილჰელმ'ა უდგაშები არ მოიპარსოს; რომ ოსმალეთში მაჭმადის სარწმუნოებას ადიარებდენ; რომ...

ეკლა სახელმწიფოები დაფრთხენ, რუსეთთან მეგობრობას ეძებდენ.

საუბარი

(ფრიად ღირსმნიშვნელოვანი)

სააზნაურო თეატრმა
ჰკითხა **სახალხო** სცენასა:
— რა დაგიშავე ძმობილო,
რისთვის მიმუნჯებ ენასა?
რა შემომწამე ურიგო,
რითი ვარ დასაწუნარი?
ნუ თუ შენ გაქვს და მე არა
სასცენო საქმის უნარი?!..
იქნებ შენ გიყვარს მამული
და მე კი ვეგულგრილები!?!
სამშობლოს სიყვარულშია
შენ როგორ შემეცილები!?.
აი თუნდ ამ წლის სეზონში
„სამშობლო“ ათჯერ დავდგი მე
და გულცივობაც შემწამოთ..
აფსუს!! ვაიმე,—ვაიმე!!.

(სახალხო სცენა შესწუხდა...
რა ეთქვა აღარ იცოდა,
მოსჩერებოდა აზნაურს
და მისი ცოდვით იწოდა)

— ჩემთან რა გინდა ძვირფსო?
ან რა გაწუხებს ნეტავი...
იჯექ... სასახლე ხომ კი გაქვს
დიდებულ შესახედავი?
— (რა ვქნა, რას როშავს ნეტავი
ეგ ენა გასაწყვეტელი)?
ბიჭო! რათ მინდა სასახლე
კაცი თუ არ მყავს მნახველი?
ამბობენ: ხალხმა მდაბიომ
შენს სცენას მოაშურაო,
და ჩემკენ მაშინ წამოვლენ
„რო დაიკივლუბს ტურაო“.
— მივხდი... ძმავ, მაგრამ მაკვირებს
ჩემთან რაღა გაქვს სადაო
იმაზე ხომ არ მიწყრები:
რისთვის ხარ ეგრე სადაო...
იქნება, ძმაო მნახველმა
მიტომ აგაღო ხელია,
რომ პიესები დაუდგი
დრო მოქმული და ძველია.
— მაშ შენ არ გიყვარს სიძველე,
მამულის წარსულს ამაგებ
და როგორც დემოკრატები
ხალხს დღესაც ისე განაგებ?
ჩვენ, ძმაო, ჯერაც მაგრა ვართ
სიძველე გულს გვიხატია
წარსულში ვეძებთ იდეალს
იქ ჩვენი ანდამატია.
— აბა რა ვიცი... იქნება
იმან დააფრთხო მნახველი,
რომ გაეძევეთ სცენიდან
ვისაც კი ჰქონდა სახელი...

— Вотъ еще,.. იგი არ გეყო
რაც წელან წამოროშევი?
ვინ გავაძევეთ სცენიდან?
აბა მიმახარი, მოყევი?..
ნინა ჩხეიძე...ეს ერთი...
მეორეც მესხიშვილია...
„ნატოს და კოტეს“ ამბავი
კი შენი შეთითხნილია...
— იქნება, ჩემო კეთილო,
იმას გიდებენ ბრალათა,
რომ როლის ცოდნა-არცოდნას
აღარ აფასებ ჩალათა.
— როლის არ ცოდნა? საწყალო
მაშ შენ ეს გაგიხარიან!
როლს არ სწავლობენ, მაგრამა
ნიჭიერები არიან.
თუნდ არ ისწავლონ როლები,
მითი ვართ დასაძრახები?!
შენ რომ იცოდი ზეპირათ
იმიტომ მეტრაბახები?!!
მე დამსწრე ხალხზე გიჩივი,
შენ კი ომიყევ როლები...
კეთილშობილი „ზუბრიაკს“
აბა რათ წავეტოლები??

— სწორეთ არ ვიცი რა გითხრა,
ან რა გირჩიო კეთილო,
რომ ხალხს დაურჩეს შენგანა
სიყვარულ საგაკვეთილო.
ვინ იცის... იქნებ, გენაცვა,
მისთვის დაგიხვდენ ავათა,
რომ ბევრს ახდიებ ვერცხლეულს
მათ პირისანახავათა.
— ერთი შეხედეთ!?! ძმობილო
ჭკუაზე ხომ არ შემცდარხარ?
განა ძვირია „კრესლოში“
თუ სამ მანეთად ჩამჯდარხარ?
ასე ტუტუცურ რომ მსჯელობ
ძლიერ ურიგოდ ირჯები,
მაშ შენ ის გინდა მოვრეკო
სულყველა ქუჩის ბიჭები?!!
— ნეტა ვიცოდე რას წყრები
ურცხვ კილოს რათ არ თაკილობ?
მაგრამ ჰო, ვიცი თურმე შენ
მაგარ სასმლებით სადილობ!
იქნება შენი წეს რიგი
არ მოეწონა მნახველებს:
ზოგი რომ ადგილს წაგართმევს,
ზოგიც უწყვეტლივ ახველებს,
ზოგი წინ აგეტუზება,
როგორც ქვითკირის ბურჯები,
ამფითეატრის შვაგულში
რო გიდგას დანაყუდები.
— აფსუს, რო კეთილშობილსა
შენ მიწუნებდე ზრდილობას
და მრავალ-წლობით შენაძენ
წესრიგის გამოცდილობას.

მუშებით გამოკედილხარ
როგორც რკინისგზის ვაგონი,
ოჰ გაწყდეს შენი სინსილა,
მოისპოს შენი მამგონი!

(სახალხო თეატრს ეწყინა
მოძმისა კილო უზრდელი,
მაგრამ ლანძღვაში ჯერ თითონ
გამოდგა გამოუცდელი
და მოახსენა აზნაურს:)

— ძმაო რას გიგავს მსჯელობა?
ნუ თუ ინტრიგა გგონია
სცენის საქმე და ხელობა:
ძველ პიესებს დგამ, როლების
არ გაგეგება ხომ ინჩი,
წეს-რიგი რომ არ გივარგა
ეს თითონც კარგათ ქე იცი,
ნიჭიერ არტისტს იშორებ,
უნიჭოს გვირგვინს დაუწნავ,
ადგილებს ფასებს უმატებ...
და რა კარგს ნახავ ჩემ ძმავ?
მე რომ მიწყრები, მე რა ვქნა
ჩემო ძვირფასო ძმაო?!
პირი რათ გეწვის, თუ მართლა
პილპილი არ გიჭამია?!
მშვიდობით... მაგრამ ხომ იცი
„ახალი ცოცხის“ ამბავი?
იქნებ ჩვენც მალე გაგიხდეთ
ხალხისთვის დასაძრახავი.

ეშმაკი.



ეშმაკის კალენდარი

აპრილი

ოცდახუთიდან ოცდა ათამდე (25—30)

მთელი დედა-მიწა გახვეულია შიშის ღრუბლებში. დიდ-სახელმწიფოთა „კონცერტი“ ენერგიულათ ემზადება საერთაშორისო კონცერტისათვის. სწმენდენ და იძენენ მუსიკალურ იარაღებს ცნობილი კრუპპის ქარხნიდან. თუ მოხდა, კონცერტი ერთობ ძვირი დაჯდება და საეკვოა ხარჯები დაფაროს.

ოსმალეთის სულთანი ბერათ აღიკვეცება, თუ სხვა რამეთ არ აღიკვეცა. ახალგაზრდა ოსმალოები დაქორწილდებიან და დაწვრილ-შვილ-დაბერდებიან.

სპარსეთის შახი ყველა თითებს დაიკვნეტს, მაგრამ ეტყვიან: „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმეთლა თითზე კბენანია“-ო.

სახელმწიფო დუმა მიიღებს კანონ-პროექტს, რომელშიაც სურვილი იქნება გამოცხადებული თავრიდის სასახლის ადესაში გადატანის შესახებ, ვიდაიდან დეპუტატთა უმრავლესობის უშიშრობა იქ უფრო იქნება დაცული ხულიგანთა ორგანიზაციის მიერ.

კახეთის რკინის გზაზე მატარებლები დაეჯახებიან ერთმანეთს და მრავალი თავად-აზნაური დაშავდება.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება დაადგენს: გაიმართოს ქ. თფილისში „სოფლის მეურნეთა“ გამოფენა. ექსპონანტებს საგზალიც უნდა გამოატანონ.

ერთი ოკრიბელი გლეხი მოიგონებს საფრენ მანქანას, რომლითაც ბ-ნი სევასტი გაჩეჩილაძე გაფრინდება „ახალშენის“ ანგარიშებითურთ მთვარეზე, რომ იქ შეიძინოს „მუშებისათვის“ სამოსახლო ადგილები.

მედიატორენი ვაჟა-ფშაველასა და მიხა გაჩეჩილაძის საქმეზე უკანასკნელს გამტყუნებენ, რადგან მგოსნის „ახალ“ ლექსებში ერთი ისეთი „მარგალიტი“ ერია, რომელიც მარტო ღირდა 60 მანეთად. სახელდობრ „თმა გრძელია და ჭკუა თხელია“. დადგენილებას არ გამოაცხადებენ.

საამათრახო ამბები.

(გაგრძელება)

დაბირებს დაუდგეს თვალები, თორემ ბ-ნი გოკიელის „მეცნიერებაზე“ მეორეთ თავის შეწუხება ადარ ღირდა. ბირველ წერილიდანაც ცხადათ სჩანდა, რომ მატეგემულ ფრანციასკოს სურდა დარიბების მოტეეება, მაგრამ ეს საქმე არც ისე ადვილია.

როცა კარსკვლავთ მრიცხველობა „ნათელ ჭეთ“ დარიბი ხალხისათვის, ფრანციასკო ანატომიას შეუდგა და ამ დარგშიაც საარაკო ცოდნა კამოიჩინა. წარმოიდგინეთ თუმცა:

„მთელი კაცის ტანს გარშემო ახვევია ძარღვები, წვრილი მართულებივით. ამ ძარღვების საშვალებით კაცის გონება ტყობილობს რომ საგანი რვგვალია, წითელია, მაგარია, ტკბილია, ხორკლიანია და სხვა. მაგ, ფეხში რომ ნემსი შეერჭოს კაცს, ფეხის ძარღვები მაშინვე აცნობებენ გონებას: აქ დიდი უბედურება მოხდაო. გაჩნდება სულის აღშფოთება და შეწუხება...“

ჩემმა „კითხვის ძარღვებმა“ როგორც კი დაინახეს აქ მოყვანილი სიტყვები, მაშინვე აცნობეს გონებას: აქ

დიდი სისულელე სწერია და მაშინვე გახნდა „სულის ადგშეოობა და შეწუხება“, რასაკვირველია შესახებ ფრანციისკ გოკიელის გონებრივი უსუსურობისა. და ეს არა მარტო იმიტომ რომ ბ-ნი ფრანციისის „ძარღვების“ ცუდათ მაქვო ამბავი „ნემსის ერეწობის შესახებ“, არამედ იმიტომაც, რომ ცხოველთა ვითარებაზედაც ატეუებენ ეს დალოცვილები ფრანციისის გულუბრუველო გონებას და იმის საშალებითი დარიბ ხალხსაც.

პირუტყვებს რასაკვირველია არა აქვთ დაკვირვება რამეებში; არა აქვს მეხსიერება, არ იცის გარჩევა კეთილისა და ბოროტისა მაგალითად ვირს რო უცხო ვინმე მიუახლოვდეს წიხლსა ჰკრავს, პატრონიც რო მივიდეს, წიხლსა კრავს.“

ფრანციისკოს წიგნის წაკითხვა რომ შეეძლოს ბ-ნ ვირს, ცხადია უპასუხებდა: „რას ამბობ, ძმაბიდო, შენ თუ ვერ არჩევ ნაცნობსა და უცნობს შენზე დასწერე, თორემ მე ძალიან კარგათ ვარჩევ ჩემ პატრონს სხვებისაგანო.“ ამათ ბ-ნი ვირი რასაკვირველია ვერაფერს შეაგნებინებდა ბ-ნ „მეცნიერს,“ მაგრამ გულს მაინც მოიფხანდა. ხოლო ძალიან უფრო მკვახეთაც შელანძღავდა ჩვენს „ღვთის მოსავ“ მეცნიერს მათ შესახებ ასეთი უკუდმართი აზრის გავრცელებისათვის.

„პირუტყვმა არ იცის რა მოსდევს თავის მოქმედებას; არ იცის, რომ ხაფხულს მოჰყვება ზამთარი და სხ ..»

როგორც ხედავ, პატიგცემულო მკითხველო, „დარიბია“ მოწუალე მეცნიერმა ასე დაბრალეა „ბირუტყვები“ და მასთან ერთად დარიბი ხალხიც, ვინაიდან თავისს მეცნიერებას მათ უძღვნის. „ცხოველებმა არ იციან, რო ზაფხულს ზამთარი მოჭეკვებაო.“! ბ-ნი ჭრიჭინასი არ იუოს, რა უშავდა ჩვენს მეცნიერს ჭინჭველასთან მიბრძანებულიეო და ეკითხა:

— იცი ჭიანჭველავ რომ ზაფხულს ზამთარი მოსდეგს?

— შე კაი კაცო, რო არ ვიცოდე ამ სარჩოს გროვებაზე თავს შეგაწუხებდი?! იქნებ შენზე კარგათაც ვიცოდე!..

ჩაუტრაბახებდა ჭიანჭველა, რადგან ზამთარ-ზაფხულის კარდა ტრაბახობაც იცის.

ჭიანჭველასაგან შერცხვენილ მეცნიერი თავს ანებებს ცხოველებზე მსჯელობას და მეცნარეებზე გადადის. აქაც რასაკვირველია, ისეთსავე დაკვირვებას იჩენს, როგორც მისგან თავაწყენებული ბირუტყვები დიახაც ითაკილებენ:

«მცენარე ბამით კი ბამს, მაგრამ პირი ჩვენებურათ კი არა აქვს მოწყობილი,—პირი მას ფეხებზე უბია».

მარადაც და რა იცოდენ ჩვენმა „დარიბებმა“ თუ მეცნარეს ბირი ფეხებზე ება. იმათ ალბათ არც ისა სცოდნიათ, რომ მეცნარეს ფეხები ჭჭონდა, არა თუ ფეხებზე კიდევ ბირები ება.

„მცენარეები იძლევიან კაცის სასარგებლოთ: ჩაის, ყავას, შაქარს, სანთელს, ზეთს, არაყს, ნელსაცხებელს და სხვა. აქედან ვხედავთ რა ჭკვიანურად, შორს მჭვრეტელობით არიან შემკულნი მცენარეები“.

«არის ერთგვარი მცენარე, რომელსაც ჰკიდია დოქები, წვიმია დროს დოქები წყლით ივსებიან, ხოლო გვალვის დროს გადმობრუნდებიან და წყალს ფეხებზე ასხამენ».

ამ ბრძნული ამბებით ათავებს «მეცნიერი» ფრანციისკ გოკიელი თავისს სადარიბო შესაწირავს მეცნარეთა ცხოვრებიდან და გადადის „სულის მოქმედებაზე“. ჩვენ საწერათ ადარ მიგვაჩნია მკითხველების შეწუხება ამ უკანასკნელი განხილვით.

ეშმაკი.

ორი ეშმაკი

პირველი. იცი კაცო, რომ ეგ სახალხო თეატრი ალარ ხუმრობს?

მეორე. როგორ არა ხუმრობს, შე კაი კაცო, ორი წარმოდგენა დადგა და ორივეჯერ სიცილით დავიხოცეთ. ხუმრობს კი არა მეტსაც შვება.

პირველი. ეეეეეჰ, შენ ვერ გაიგე! მე გეუბნები არა ხუმრობს მეთქი...

მეორე. და მე გეუბნები მეტსაც ხუმრობს მეთქი...

პირველი. ბიჭოს!.. ქართული არ გესმის?.. არა ხუმრობს ე. ი. საქმე კარგათ მიყავს მეთქი... გაიგე?!

მეორე. კარგი შენ მოგივა!.. თუ გუნიას რეპერტუარი გადმოალაგეს ხეირსაც ნახავენ!

პირველი. ამბობენ ეს შეცდომა იყო, თორემ შემდეგისათვის კარგ პიესებს აირჩევენო.

მეორე. სულთანიც ასე ამბობდა, მაგრამ ხომ ხედავ როგორ მიაპანჩურეს.

პირველი აბა, საწყალი!! ძალიან კეთილი კაცი იყო ცხონებული!

მეორე. ასეა ძმაო სიკეთეს ვინ დაგიფასებს, აგერ სამსონ ფირცხალავას მოუწადინებია ვაჟასათვის ორიოდ გროშის შეძენა და ორასი ფურცელი „ცრემლის“ ფასად მიხა გაჩეჩილაძეს ოცი ქანკარი მიაცემია. ახლა ვაჟა გამოსულა და ესაყვედურება: ჩემი „ცრემლები“ მეტისა იყოო.

პირველი. მიხა გაჩეჩილაძეს რაღა „ცრემლებისათვის“ ეკალა, როცა „ახალშენი“ ზურგზედ ეკიდა?

მეორე. შენ მიხასა და სევასტის ურევ ერთმანეთში. ის „ახალშენის“ „ამშენებელი“ სევასტი გაჩეჩილაძეა და ვაჟას დამშვენებელი კი მიხა გაჩეჩილაძე.

პირველი. ხიდს რო აშენებს ის ხომ სევასტი გაჩეჩილაძეა?

მეორე. ახლა კი მთლათ დაიბენი! ხიდს რო აკეთებს ის სულაც არ არის გაჩეჩილაძე, ის მხოლოდ გაჩეჩილი კაცია, თორემ გვარათ მეხუზლაა, ანუ იასე რაპველი.

პირველი. აჰაااა! ეს იასე რაპველია
„გეორგიის“ შემპმელია?

მეორე. დიახ!..

პირველი. მაშ სევასტი გაჩეჩილაძე და მიხა გაჩეჩილაძე ორივენი გაჩეჩილაძეები არიან, მაგრამ სხვა და სხვა მხრით იჩეჩებიან!

მეორე. დიახ!..

პირველი. ის „სევასტი“ ნეტავი რომელი სევასტია „ჩვენი საქმის“ ერთ-ერთ ნომერში, რომ სასაცილო განცხადება მოათავსა „ცუღლუტის“ წინააღმდეგ?

მეორე. როგორ ვერ იცანი, შე კაი კაცო, ის „სევასტი ალმაშენებელია.“ ხომ გაგიგონია საქართველოს ძველათ ყოვდა დავით ალმაშენებელი და ახლა გამოუჩნდა სევასტი ალმაშენებელი.

პირველი. მერმე რა ააშენა ამ სევასტიმ? „ალმაშენებლობის“ დარქმევა ხუმრობა ხომ არ არის?

მეორე. როგორ თუ რა ააშენა?!!?!?

პირველი. ჰო და რა ააშენა? მე მისი აშენებული არაფერი გამიგონია!

მეორე. შენ რომ ცხოვრებას ჩამორჩენილი იყო ეს რა „სევასტი ალმაშენებელის“ ბრალია! თუ მაინცა და მაინც გინდა იცოდე რა ააშენა, წადი ახალშენში ვერის ვაღმა და ნახავ რომ მან ააშენა ორ სართულიანი სახლი.

პირველი. შე კაი კაცო, მარტო ეს ღვაწლი მიუძღვის?!! დავით ნახერხაძემ ოთხ სართულიანიც კი ააშენა დიდუბეში, მაგრამ მისთვის დავით ალმაშენებელი არავის დაურქმევია.

მეორე. არა, აშენებაც არის და აშენებაც...



დაბა-სოფლებიდან.

დ. სამტრედია. აქაურ რკინის გზის მოსამსახურეებს, ამ დღეებში დეპეშით აცნობეს: „რადგან ძალიან გაზარმაცდით, გადაყვანილ ხართ ქ. ფოთში“-ო. ამ ამბავმა, რასაკვირველია, თავზარი დასცა ყველა მოსამსახურეებს. დიდი კამათის და თავისტეხის შემდეგ გადასწყვიტეს მოეხდინათ კრება, რომ ასეთ სასტიკ განკარგულებაზე შესაფერი პასუხი გაეცათ. კრება მოხდა „მარიანას“ სახლში. დაესწრენ ყველა ის მოსამსახურენი, რომლებიც ფოთში უნდა გადაეყვანათ და თვით „მარიანაც“. თავმჯდომარეთ აირჩიეს „გოგია“, მდივნათ „ნესტორი“. უმთავრესი საკითხი იყო, გამოერკვიათ თუ რა დანაშაული მიუძღოდათ იმ მოსამსახურეებს, რომლებიც ასე სასტიკათ დასაჯეს. ამის შესახებ „ზდანიების ზედამხედველმა“ მიმართა თავმჯდომარეს და სთხოვა გაეცნო კრებისთვის ეს საკითხი. თავმჯდომარემ ვრცელი მოხსენება წაიკითხა და აღნიშნა თუ ვინ იყო გადაყვანილი ფოთში: 1) სადგურის სამი კასირი, ერთი მათგანი თვითონ. 2) სად. ტელეგრაფისტკები, ერთი „ვესოვშჩიკი“; ორი კანტორშჩიკი, ერთი „ზდანიების ზედამხედველი“, ერთი „სტრელოჩნიკი“, და ფოსტის მოხელეები. დასასრულ თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას: ძმებო და დებო! ნუ შედრკებით! გული ნუ გაგიტყდებათ! მართალია ფოთში გადგიყვანესთ, მაგრამ „უკანასკნელ

სისხლის წვეთამდე'' მეც თქვენთანა ვარო. კრებამ ერთხმათ იგრიალა ,,ვაშა'' და დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა. შემდეგ ამისა კრება დიდათ ნასიამოვნები დაიშალა.

სად არის ერთი კაი მათრახი?!

—

იქიდანვე გვატყობინებენ: ამ დღეებში ,,მირიანოვის პროსპექტზე'' სეირნობის დროს აქაურ ფოსტის მოსამსახურეებს თავს დაესხა ორი უცნობი და შეიქნა მიწევ-მოწევა. საერთო ბრძოლაში დაშავდა ფოსტის უფროსი და ერთი ქართველი მოხელე. უფროსს გვერდების მასაჟი გაუკეთეს და ძლიერ დასუსტდა. თავდამსხმელნი მიიმალენ. ფიცხელი გამოძიება სწარმოებს.

— ამას წინათ, აქ ჯიბგირებმა მოულოდნელად მოიტაცეს ილ. ხელაია. დიდი ძებნის შემდეგ ის აღმოაჩინეს რიონის პირათ, ხის ყუთში. ყველანი გაკვირვებული არიან და ვერ გაუგიათ რათ მოიტაცეს ხელაია, ან ხის ყუთში რათ ჩასვეს.

„ისევ-ისვარ“.

—

ფოთი. (*გამოცანა*).

გამოცანას მოგახსენებთ
მართალს, არა გარდამეტსა,
ქვერში პოვეს და იშვილეს
ფიცულობდენ მისსა მზესა.
ასწავლეს, და აფუფუნეს,
მემკვიდრეთაც დაიმტკიცეს,
მამობილის სიკვდილს შემდეგ
ათი წილი იმას მისცეს.
მარა ბოლზე გადამჯდარმა
ქეიფობას მიჰყო ხელი,
შეითვისა ყოველივე
ბოროტი და საძაგელი.
როს გაფლანგა ქანქარი და
მამულები, თუ ქარხანა
დედობილიც დააკვლია
დიდი ალარ დაახანა.
იმის წილიც შეიმასქნა
ეხლა დადის ქუჩა-ქუჩა,
ხაზეინებს და მუშებს რევს,
სხვა საქმე რო არ დაურჩა.
ჩაფიქრდით და ყველა ახსნით
შუბლს მიიდეთ ხელიაო.
გვარს აქ გეტყვით და დამთანხმდით
რომ ზურგ მოსათელიაო.

შხანკოლა.

—

დიდი ჯიხაიში. აქაურ „მოღვაწეთა“ ბიუროს ერთი თვალსაჩინო წევრი გაექცა, ი. დარახველიძე. მიზეზი ყველასათვის აშკარაა და მეტია ამაზე ლაპარაკი. რადგან ნიკოს „ეოვზი ნაკარში ჩაუვარდა“, ამით ისარგებლა მიხაკომ და მეორე მწერლის ალაგი გაიკრა. პირველობა კი ვინმე იოსელიანს ხვდა. როგორც ეხლა ბოროტი ენები ამბობენ მამასახლისი ივ. ვაშაკიძეც ამირებს თურმე გაპარვას. მიზეზათ რაღაც „ოკლადნი ლისტების'' შეკმას ამბობენ. შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ,,ლისტების'' საქმე. ეგვი არაა საჭირო იქნება ახალი მამასახლისი, ხოლო ამ ახალ მამასახლისის არჩევაზე დიდი დაკვირვება და შორს გამსჭვრეტელობა დასჭირდება ჩვენ სოფელს რომ ისევ ,,ქაღალდების ჭამია'' მამასახლისი არ აირჩონ.

ირანი.

—

დ. ხონი. ჩვენებურ ინტელიგენტების ცხოვრებაში ოთხმა მთავარმა მიმდინარეობამ ამოხეთქა და ელვის სისწრაფით წინ მიექანება. არშიყობა, ბახუსის თაყვანისცემა, ბილიარდი, კარტი და სხვა. აი ამ მიმდინარეობათა მთავარი დამახასიათებელი თვისებები. ისეთი ინტელიგენტი ძვირია დღეს ხონში, რომ არშიყობა არ იცოდეს, ღვინოს არ ყლაპავდეს და ბილიარდს არ თამაშობდეს, რასაც მოწმობს მელით გათხუპვნილი მათი ტანისამოსი. ეგვი არაა ამ ახალ მიმდინარეობას აღუნიშნავათ არ დასტოვებენ ჩვენი ისტორიკოსები.

ს... ხ...

—

თელავი. (*მუდარა ეშმაკისადმი*).

დიდი ხანია, ეშმაკო
შენი გაცნობა მწყურია,
მეტათ მიზიდავს, ხმა ტკბილი,
ეგ შენი სალამურია.
გემუდარები, ძმობილო,
ღირსი გამხადო შენია,
ადგილი მომცე შენს ახლო,
შორით ვერ მომისვენია!
მეც შემიძლია ვიმღერო,
სალამურს მივცე ბანია,
თელაველთ გასაღვიძებლათ
მსურს აღვიმაღლო ხმანია.
მხოლოდ ჯერ პასუხს მოველი,
ვიცი, არ დაზოგ სიტყვასა,
იკადრებ თუ არ, ეშმაკ ჯან,
ჩემი ლექსების კითხვასა?

ჯინაოს ხევისპირელი.

—

ჭიათურა. ჭიათურის საქმე ძლიერ ცუდათ მიდის — დასები კლებულობს, — მუშები სტირიან, ექსპორტერები იცინიან!.. მოსაგების შესანახათ ბურჯელი აღარა აქვთ. მათზე არა ნაკლებ გახარებულია საბჭოს ინჟენერი საპიცკი. ვაგონები ბლომად გადის ჭიათურიდან და რა თქმა უნდა, საბჭოს კასსას ბლომა ქანქარი მიეტატება და მისთვის ხელსაყრელია. ალბათ გამოძებნის რამე ,,პოდრიადებს'' და ქანქრის უმეტესს წილს თავის ჯიბეში ამოაყოფინებს თავს!..

ვნახოთ, როდემდის შერჩება!..

ჭიათურელი ეშმაკი.

—

ბაქო. ჩვენი ვაგზლისა ბუფეთის
ზოგი და ზოგი მუშები,
შენ რომ გაიცნა, მკითხველო,
ძალიან მოიხუშები.

იმათთვის მეტი ბარგია:
წიგნი, გაზეთი, ჟურნალი,
მხოლოთ ხლუსტი და ბანკია
მათი გონების მკურნალი.
კაცების უბორნიაში
არის იმათი კრებული,
ბევრჯელ გვინახავს: ნუშტებს რომ
იქნევდა გაკოტრებული.
მუდამ დღე არის ფრიალი,
აყალმაყალი, გინება!...
მაგინის სეირს კი ვნახავ,
თუ რომ ეშმაკმაც ინება.

გ. მ.

—

ვანია და ნიკო.

ვანია. სადამი ნიკო შენსა ნახვასა
აბა რას გვეტევი ახლა ამბავსა,
რასა იქმს ფოთში თქვენი ქარხანა
მუშებიც დრომ ხომ ვერ გაანა.

ნიკო აბა რა გითხრა ჩემო ვანია
საქმე ცუდად გვაქვს დიდიხანია,
სად არის, ძმაო, დღეს მუშა სადი
უველას დასვა დრომ თავის დადი.
მუშათა ბრინტიაში ვინდა უეურებს
ერთობის ჭანკი კარდაბრუნეს,
ზურგი აქციეს თვით შეგნებასა
საქმე კარდასცეს მოგონებასა...

ვანია. ოხ, საძაგელი რამე მომხდარა
აკაკი, თადაც ხომ არ წამხთარა.

ნიკო. ოხ ძმაო, აბა რა სათქმელია,
ამათ თდათ ჭკუა გამოელია,
ისინიც ბაძვენ ხაზეინებსა
ნარდ-კარტში ჭერიან ნაშოვნ ფულებსა
შენც მითხარ: თქვენში რა ამბავია,
დანწხუთს ვერ მოეხდი დიდიხანია.

ვანია. არც აქეთ არის ძმაო ხეირი
მტრებს კაუმართავს თვალისეირი,
არ გეუბნები სხვის კასკონთა
კაკალოდდი გვეკვს ბატონ-ბატრონთა.
ტუვილთ ჯარზედ რო წაგცთეს დიდნი
ზურგში მოგედის ბრიგინ-ბრიგინი,
თუ რომ უქმ დდეზე კადი ბაზარში,
ენდა შენთვედ ძალთ საკარში...
სამეითხვედოც გვაქვს გითომ სახელთ
არ გეუბნები სხვასთან საქმელთ,
კამეგებიც ჭეკვს, ხედის მომწერნიც
მარა ზრუნავენ მხოლოთ შორს მზერაა.

სუ.

ასატურას ჩიტილი.

(სტენა ვაჭრის ცხოვრებიდან)

ეს რა დრო დაგვიდგა კაცო, ჩემ სახლში არხეინათ ვერ დამიძინია!!. გავიხედამ მოაქვს ფოშტალიონს მძიმედ დაბეჭდილი კარვენტი, თითქოს ერთი ფრანცუკი კონცოლი ვიყო. გავხსნი წერილს, მაგრამ ვაი იმ გახსნას, შიშისაგან სული ფრჩხილებში მიმიდის. კარვენტს ოთხივ კუთხით შავი არშია აქვს შემოვლებული, შიგაც წერილში იმოტოლა კუბოა დახატული, რომ ხუთმეტი იარმუკის ყასაბი არხეინათ ბადდადურს ითამაშებენ!.. აქეთ იქით ჯოჯოხეთის ტარტაროზები დგანან სულის ამოსაგლეჯი მარწყხებით: ან სიკვდილი ან ფულიო!!. გაუგზავნო რომელი ვექსილის ძალით, არ გაუგზანო და ვაი ჩემი ბრალი. მამიცვივიან ოც გირვანქიანი მაკედონკა ვაშლებით და გლუხენ კტრრ... ვინ იცის ჩემი ძვლები ისე ფრიალებდნენ ჰაერში, როგორც ხარაზების ჰამკრის ფაირაღი. თუ არა და მოგიტაცებენ ესეც ხომ მოდაშია ეხლა. აი ამას წინათ ჩვენი დარჩუა ყასაბი არ მოიტაცეს! თითქოს ერთი ანგლიკაი კაროლიცა იყოსო. ეჰ, ფინთი დრო დაგვიდგა ფინთი. კაკს ორი გროში ვეღარსად მოგიფარებია, რომ ორასი აპეკუნი არ გამოუჩნდეს შენ ალალ ოფლს. ამ წინათ ბანკიდგან ფულის გამოტანა მინდოდა და ვიფიქრე თუ როგორ გამომეტანა. უცეფ ისეთი რამ მოვიფიქრე, რომ მე კი არა ედიცონიც ვერ მოიგონებდა ამისთანა რამეს. არა მეც ფულიკი ვარ არა, არც ისე ადვილათა ვტყუილდები. ავდექი მოვრთე ჩემი დედაკაცი, როგორც კუკლა. მეც დაგლეჯილი ტანისამოსი ჩავიცვი, რომ ვინმემ შამოგვხედოს მითომ მე მოჯამაგირე ვარ!!. წინ ის მიდის ბანკში და უკან მე მივყვები. იქ ერთი ორასი თუმანი მერგებოდა, გამოვიტანე და არხეინად მოვდივარ არა, რისა მეშინიან?! ჩემი ცოლი თაქუა ფეთხაინის ანგელოზი გეგონებათ. ვინ ოხერი იქნება რომ ეს სამთთხის ხემწიფე გაუშვას და მე მომიტაცოს აა?!.. მე ვის რათ უნდივართ ჯოჯოხეთის მაშხალა? აბა თაქუამაც არ იცის ჩემი ფულიკობა, თორემ რას გამომყვება. მოვდივართ გული საგულეში მაქვს. მოვაწიეთ თუ არა ჩვენ ეშმაკ კარაპეტას დუქანთან, ერთიც ენახოთ საიდანღაც გამოვარდა ათიოდე სულ პრაბელცკი და მაუზერცკი ლეგროვებით შაიარაღებული და სტოიო დამიძახეს. ახლა მეც მეცინება არა ჩემ ფულიკობაზე! ვიცი თაქოს მაიტაცებენ და მე ხმას ვინ გამცემს არა ბომელი მზეთ უნახავი მე ვარ! მაგრამ თაქუას ვინ უყურა კაცო, დამავლეს ხელი და მიმარბენინებენ. ვეხვეწები, ვყვირი Слуши зачем я нада, я стари საკალბას чалавекъ მეთქი, лучи мои თაქო вазмитъ такой красиви женчинъ на цели Тифлиски губерни нетъ მეთქი, он всемъ женчинъ глазъ მეთქი, მაგრამ სულ ამაო იყო ჩემი ყვირილი. დამაფარეს პირზე ხელი და ისეთ ადგილას წამიყვანეს რომ ეხლა რო მამაგონდება შიშისაგან კინალამ ბნედა მამდის. ის მთელი ფული სულ წამართვეს და ისე უკაპიკოთ გამომიშვეს, რომ სამ დღეს ძლივ ჩამაველ ქალაქში. განა ეხლანდელ სიოცხლეს მადლი აქვს! მოვა ერთი ვიღაც ლაწირაკი пахапестъ красни ბეტად, ფულიო იძახის, თუ ბიჭი ხარ და უარი უთხარი, ხელათ ხოჯივანქის სასაფლაოზე გაგისტუმრებენ საიქიოს ბაშფორთით.

წყაროსთაველი.



კირილე ივ. კურკანტელიძეს.

სტავროლი, ყალიონის ქუჩა №, 14.

ძმაო კირილე!

სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის შენი წერილი. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ტყუილი ყოფილა ქართული ანდაზა: „თვალი თვალსა მოშორდების, გული გაანსხვაფერდებისო“, მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს თვალები დავაშორეთ, სულ ოთხიად წელიწადია, მაგრამ ამ ოთხი წლის განმავლობაში ბევრი „თვალი თვალს მოუშორებელი“ გული გაანსხვაფერდა.

დიდი სიამოვნებით აგისრულებ სურვილს და გაცნობებ ჩვენს ამბებს, მაგრამ არ ვიცი სიიდან დავიწყო. ეს იმიტომ კი არა, თითქო ბევრი რამ საუურადღებო-სასიამოვნო იყოს ჩვენს ცხოვრებაში, ბირიქით ის ერთობ დაწვრილმანებულია. წარმოიდგინე შენ, რას უნდა წარმოადგენდეს ქართული ცხოვრება, როცა კაზ. „ევერიის“ ხელმძღვანელთა აზრით, ორგანო ესე სავსებით გამოხატავს ხალხის სულის გეთებას და საჭიროებას. ვიცი ამ სიტყვებიან წაკითხვისათანავე იფიქრებ: „აქლემის სანადონე ისე არ დამცირდება, რომ ვირისა მაინც არ გამოვიდესო“, მაგრამ რა, სამწუხაროდ ის არის, რომ სანადონემ ასე თავდასახინოთ იგლო.

თუ უწინ საკუთარი იმედებით ვცხოვრობდით, სამაგიეროთ ახლა სხვისი იმედები გვასულდგმულებს. ქართულ მწერლობასაც სპარს ოსმალოთა ამბები ასაზრდოებენ, თორემ შენი მტერია, ასი ცალი გაზეთი არ გავიდოდა, ან კი როგორ უნდა გავიდეს, თუ ძმა ხარ! მთელი ჩვენი მწერლობა შინაურ საქმეებში, ქართულ თეატრისა, წერა-კითხვის სახოგადოებისა და შავი ქვის საბჭოს გარშემო ტრიალებს. საკმარისია რომელიმე ჩარჩმა ორასიოდე მუშა გაყვლიფოს სამოსახლო ადგილების შეძენაზე, რომ უცებ ეს ჩარჩული მოქმედება გახდება დღიურ საკითხად და ყველანი ამაზე დაიწყებენ წერას. საკმარისია მეორემ ვინმე მწერალს კონორარი არ მისცეს, რომ აქაც ერთი ვი უშველებელი ადგეს. ერთი სიტყვით „გაჯარ რო დაიანყოლ“ მთელი ქვეყანა კიეგებს და შეინძრევა.

სასაცილოა აგრეთვე ის ყბანწყვეტა, რომელიც კამოიწყია „სიტყვა-კაზმული“ მწერლობის ადგენის სურვილმა. ჩასმე წელიწადია რაც ამ ავთმოფოფის შესახებ იწერება ჩვენებურ გაზეთებში, მაგრამ მისი განკურნება ჯერ ძალიერ შორს არის. გასაცინარი აქ ის არის, რომ მის განკურნებას ისინივე ცდილობენ, ვინც დოკინთ ჩაგდო ჩვენი საწყალი „სიტყვაკაზმული“ მწერლობა. ახალი ძალა, (თუ ბ-ნთ დ. მეტრეველსა, შანშიაშვილსა და გრიშაშვილს არ მივიღებთ მხედველობაში) არსად სჩანს. დანარჩენებმა, ძმაო ჩემო, კარგა ხანია გადაიარეს „სიტყვა კაზმული“ მწერლობის უდელ-ტეხილი და ვისაც მაშინ არაფერი დარჩენია მწვერვალზე, ახლა რადას ამოიტანს.

ახლა გავაოთავებ, თორემ შენი მტერია. ჩვენს გასაჭირს ბოლო არ დაურჩება. თუ არ დაგეზარება და სტამბოლის ამბების უფრო დაწვრილებით გაამგებინებ, ხომ იცი მადლობელი დაგრჩება. მშვიდობით.

შენი **ბაგრატ კვირხილაძე.**

P. S. შრიდა, ამბობენ ისე შეუზღა—რაჭეული სტამბოლში ამეოფეებია და თუ სადმე შეხვდე მოკითხვა კადეცი შეჩრანის ხიდისა და „ბეორეის“ ამხანაგობისაგან. უშენობით ძალიერ ატანჯებენ თქო.

ბ. კ.

შაბათი 25 აპრილი 1909 წ. ქ. თფილისი.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „ზრომა“ რუსის ქ. № 3. გამომცემელი **პარ. ი. ომიაძე.**